სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

30 აპრილი, 2025 წ.

ბრძანება N01-02/ 91

,, ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის N01-02/212 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,სს საქართველოს ბანკთან ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის დაფარვის სპონსორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 10 აგვისტოს №07-01/34 გადაწყვეტილების, ,,საქართველოს ბანკის სტიპენდიის შესახებ" ბსუ-ს **წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების,** სტუდენტების დაფინანსების შესახებ ბსუ-სა და სს საქართველოს ბანკს შორის გაფორმებული 2024 წლის 11 სექტემბრის N05-08/11 ხელშეკრულებისა და საქართველოს ბანკის წარმომადგენლის 2025 წლის 25 აპრილის N443313 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის N01-02/212 **ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების N1 დანართი (წესი) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს** თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).
2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებები გავრცელდეს 2024-25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ჩატარებულ საქართველოს ბანკის სტიპენდიის შესარჩევ კონკურსებზე.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში:, ,,რექტორის აქტები"; ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები", ,,სტუდენტის გზამკვლევი").
4. ბრძანება გაეგზავნოს საქართველოს ბანკს.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,, ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის N01-02/212 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ''

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 30 აპრილის N01-02/91 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბსუ) სტუდენტთათვის საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი (შემდეგში - სტიპენდიის წესი) ადგენს ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდეგში - **პროგრამა)** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული და აქტიური სტატუსის მქონე ბსუ-ს სტუდენტებისათვის დანიშვნისა და გაცემის რეგულაციას.

2. საქართველოს ბანკის წინადადების გათვალისწინებით შესაძლებელია ბსუ-ს პირველი საფეხურის რომელიმე პროგრამის სტუდენტებისათვის განისაზღვროს უპირატესობა (1 ან მეტი სტიპენდიატი).

3. საქართველოს ბანკის სტიპენდიის ოდენობა **არ აღემატება** ერთი სემესტრის სწავლის საფასურს (**1125 ლარს)** და გაიცემა ერთჯერადად, ჩატარებული კონკურსის შედეგად (შემოდგომის ან/და გაზაფხულის სემესტრში), საქართველოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული დაფინანსების ფარგლებში. საქართველოს ბანკის სტიპენდიით მიმდინარე სემესტრში დაიფარება სტიპენდიატი სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასური (50/70 % სასწავლო გრანტის ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან სწავლის სხვა ნაწილობრივი დაფინანსების, ასევე შესაბამის სემესტრში დარეგისტრირებული კრედიტების საფასურის გათვალისწინებით). თუკი სტიპენდიატების კანდიდატების სარეიტინგო სიაში ბოლო ადგილზე გასული კანდიდატის სწავლის სემესტრული საფასურის დასაფარად არასაკმარისია საქართველოს ბანკის დაფინანსების თანხა, ბსუ-ს რექტორთან/ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და საქართველოს ბანკთან შეთანხმებით, გასაცემი სტიპენდიის ოდენობა დაანგარიშდება იმგვარად, რომ პროპორციულად გადანაწილდეს სარეიტინგო სიაში აღნიშნულ ბოლო 3 სტუდენტზე.

4. საქართველოს ბანკის სტიპენდია შეიძლება დაენიშნოს ბსუ-ს სტუდენტს, რომელიც **აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:**

ა) არის ბსუ-ს საბაკალავრო ან მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ან დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის მიხედვით სასწავლო კურსების შეფასებები - მიღებული ქულები, **,,საშუალო შეწონილი''** ფორმულით, აქვს **91 ან მეტი და წინა** სემესტრში ათვისებული აქვს **არანაკლებ 25 კრედიტი;**

გ) არ ფლობს 100%-იან სასწავლო გრანტს ან მისი სწავლის საფასური 100%-ით არ ფინანსდება რომელიმე სხვა წყაროდან;
დ) **სასურველია** ჰქონდეს სამეცნიერო აქტივობა (გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილე და აქვს მაღალი მიღწევები) და ლიდერის უნარ-ჩვევები.
9. საქართველოს ბანკის სტიპენდიატების შესარჩევი კონკურსი ცხადდება საქართველოს ბანკთან შეთანხმებით, შემოდგომისა ან/და გაზაფხულის სემესტრში. შემოდგომის სემესტრში კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, დაუშვებელია პირველსემესტრელი სტუდენტის მონაწილეობა, ხოლო გაზაფხულის სემესტრში კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში - დაუშვებელია დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტის მონაწილეობა.
10. საქართველოს ბანკის სტიპენდიატების შესარჩევი კონკურსი ცხადდება როგორც საქართველოს ბანკის შესაბამის ვებგვერდზე, ასევე ბსუ-ს ვებგვერდზე.
11. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს **რექტორის ბრძანება/განცხადება უნდა შეიცავდეს** შემდეგ ინფორმაციას:
ა) წინამდებარე წესით დადგენილი კონკურსის პირობების (შესარჩევი კრიტერიუმების) შესახებ;
ბ) წარმოსადგენი ინფორმაციის/საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხას (სასწავლო ბარათის მონაცემები; სამოტივაციო წერილი ან სხვა);
გ) სტუდენტის განაცხადისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადას და ადგილს/ფორმატს;
დ) კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადას.
12. კონკურსანტი **არ შეფასდება და მოიხსნება კონკურსიდან შემდეგ შემთხვევებში:**
ა) კონკურსანტს არ აქვს ბსუ-ს აქტიური სტუდენტის სტატუსი (შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს);
ბ) თუკი დამატებითი სემესტრის სტუდენტია **ან** პირველსემესტრელი სტუდენტია (თუკი კონკურსი შემოდგომის სემესტრში ტარდება) **ან** დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტია (თუკი კონკურსი გაზაფხულის სემესტრში ტარდება);
გ) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონეა ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოთხოვნები (მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია);
დ) თუკი კონკურსის მიმდინარე სემესტრში სტუდენტს აქვს 100%-იანი სასწავლო გრანტი ან მისი სწავლის საფასური 100%-ით ფინანსდება რომელიმე სხვა წყაროდან.
13. საქართველოს ბანკის სტიპენდიატების შესარჩევი **კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:**
ა) კონკურსის გამოცხადება საქართველოს ბანკის და ბსუ-ს ვებგვერდებზე;
ბ) კომისიის მიერ კონკურსანტების გადარჩევა - კონკურსის პირობებთან თავსებადობის/შესაბამისობის განსაზღვრა, სტუდენტების საკონკურსო განცხადებების/მონაცემების შესწავლა-შეფასების გზით და საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატების გამოვლენა (სავალდებულო ეტაპი);
გ) საუკეთესო შედეგების მქონე კონკურსანტებთან გასაუბრება (ბსუ-ს და საქართველოს ბანკის ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში);
დ) კონკურსის შედეგების - გამარჯვებული კონკურსანტების - შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს და საქართველოს ბანკის ვებგვერდზე განთავსება.
14. კონკურსის ჩატარების და საქართველოს ბანკის სტიპენდიატების შერჩევის მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, 5 - 7 წევრის შემადგენლობით (რექტორის

მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის და იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის წარმომადგენლები). კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიზნით შესაძლებელია მოწვეული იქნეს საქართველოს ბანკის წარმომადგენელი (თუკი გასაუბრების ეტაპი იქნება დადგენილი).

15. საქართველოს ბანკის სტიპენდიატების შესარჩევი კომისია ხელმძღვანელობს წინამდებარე წესით, შესაბამის წელს საქართველოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს ბანკთან შეთანხმებით განსაზღვრული პირობებით. ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობის გათვალისწინებით, შესაძლებელია კომისიის გადაწყვეტილებით დადგინდეს სტიპენდიატების შერჩევის კრიტერიუმებისათვის შესაბამისი კოეფიციენტი/ქულები, გამარჯვებულის გამოსავლენად (ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე, კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციასთან ერთად).

16. საქართველოს ბანკის სტიპენდია ინიშნება და გაიცემა ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (სასწავლო პროცესის დეპარტამენტის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით).

17. ამ წესში აღნიშნული ან სხვა შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, თუკი გამოვლინდა, რომ სტიპენდიატი ვერ აკმაყოფილებდა სტიპენდიის დანიშვნისათვის ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ბსუ-ს რექტორმა შესაძლოა გამოსცეს ბრძანება სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის აქტის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.